«დროების» რედაქცია —სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაჭაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ; 8 თვით—7 მან.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სომხურზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.
ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

## „დროების" ფასი პირველის მარტიდამ წლის დამლევამდე 8 მანათი.

**გორის მაზრის მხმარებელთა საზოგადოების გამგეობა** ეცხადებს ბ.ბ. საზოგადოების წევრთა, რომ 18 მარტს გორის ქალაქის გამგეობის დარბაზში იქნება ჩვეულებრივი კრება განსახილველად წლიური ანგარიშისა და საზოგადოების შემდეგი მოქმედებისა. (6—5)

## ძველი ქართული მწერლობის აღდგენა და მნიშვნელობა.

თბილისი, 9 მარტს.

ქართველ მკითხველს საზოგადოებას, უეჭველია, ეცოდინება, რომ ზოგიერთნი უკვე შესდგომიან ან და აპირობენ ძველი ქართული მწერლობის კლასიკურ ნაწარმოებთა გამოცემას: ამ ჟამად იბეჭდება «ვისრამიანი» და ამასთანავე უნდა შეუდგნენ შესწორებულის «ვეფხვის-ტყაოსნის» გამოცემას სურათებით. ეს ორიოდე ფაქტი შეადგენს ფრიად სასიამოვნო მოვლენას ჩვენის მწერლობისა და საზოგადოებისათვის, რომელთაც არა აქვთ საკმაო საშუალება ჩვენის წარსულის გონებითი ძალისა და ვითარების გაცნობისა და შესწავლისათვის. დღემდის ქართველობას ძველ მწერალთაგან გაცნობილი ჰყავდა მხოლოდ რუსთველი; სხვა გამოჩენილი მწერლები კი, რომელთაც დიდი სამსახური გაუწევიათ საქართველოს გონებითი წარმატებისათვის, თითქმის დავიწყებას მიეცნენ სხვა-და-სხვა მიზეზების გამოისობით. მრავალი ნაწარმოები მწერლობისა შთანთქეს შავთა დროთ, როგორნიც ხშირად თავს დასდგომია საქართველოს; ზოგნი კი აქა-იქ დღესაც მოიპოვებიან ხელთნაწერებში და, მაშასადამე, მკითხველთა უმრავლესობისათვის ხელ-მიუწვდენელნი არიან. ქართველობას თავის წარსულში უფრო გარკვევით ახსოვს შავნი დრონი და გაჭირვებანი, ვიდრე თვისივე მოღვაწეობა გონებითს და ზნეობითს ასპარეზზე. ჯერ-ჯერობით ჩვენს წარსულს მეცნიერული ნათელი არ მოჰფენია და ამიტომაც ვერც საკუთარი ძალ-ღონე გაგვიზომნია და შეგვისწავლია. იყო დრო, როცა ჩვენი საზოგადოება საჭიროდ არა სცნობდა თავის წარსულის შესწავლას, იყო დრო, როდესაც წარმატებას ჩვენის ცხოვრებისას ვხედავდით საკუთარის ვინაობის უარყოფაში; მაგრამ ეს დრო თავიდგან უკვე მოგვიშორებია და დავრწმუნდით, რომ ჩვენის ბედნიერების დამყარებისათვის აუცილებლად საჭიროა დავიცვათ ისა, რასაც ოციოდე წლის წინად ვგმობდით. ამ შემთხვევაში საჭიროა დავაკვირდეთ სხვა უფრო განათლებულ ხალხთა ცხოვრებას, რომელიც წარმოგვიდგენს მრავალს მაგალითს იმისას, თუ რა საშუალებით, რა ღონისძიებით შესაძლებელია ბედნიერებისადმი გზის გაკვალვა. უნდა ვთქვათ დარწმუნებით, რომ სხვა ხალხების ისტორიას ჩვენთვის უნაყოფოდ არ ჩაუვლია და მისდა მიხედვით უნდა ვეცადნეთ ჩვენიც ნამდვილს და სანატრელს კვალში ჩავაყენოთ.

ამ ფრიად მძიმე, საგნის მისაღწევად უმთავრესს საშუალებას წარმოადგენს, რასაკვირველია, გონებითი წარმატება, რომლის გაძლიერებისათვის არ უნდა დავზოგოთ ჩვენი ძალ-ღონე, მედგრად უნდა ვებრძოლოთ უმეცრებასა და წყვდიადს.

ჩვენმა დაწინაურებულმა საზოგადოებამ უნდა ეძიოს ის საშუალებანი, რომელნიც ხელს უწყობენ ჩვენსავე გონებითს და ზნეობითს წარმატებასა. რასაკვირველია, ამ გვარ საშუალებათ ეკუთვნის ევროპიელი მეცნიერება, მწერლობა, ისტორია, ევროპიელ ხალხთა გამოცდილება და თავგადასავალი, ურომლებოთაც ფეხს შორს ვერ გადავდგამთ. მაგრამ აქვე უნდა დავურთოთ, რომ დასახელებულ საშუალებათა გარდა არსებობს ერთი მთავარი პირობა, ურომლოთაც ყოველივე ცდა და შრომა ფუჭი შეიქნება. ჩვენ ვამბობთ იმ მთავარს პირობაზე, რომელიც იგულისხმებს თვით-შესწავლას, თვით-შეგნებას და თვით-ცნობიერებას. «შეიგენი თავი შენიო», სთქვა უკვდავმა სოკრატმა, რომლის აზრი სამუდამოდ და ყველასთვის შეადგენს აუცილებელს ცხოვრების დედა-აზრს. სწორედ ამავე დედა-აზრით უნდა ვხელმძღვანელობდეთ ჩვენც; ჩვენ უნდა შევიგნოთ ჩვენი ვინაობა, წარსული, აღვადგინოთ ჩვენი ნამდვილი ისტორია, მწერლობა, შევიტყოთ, თუ რა გონებითი და ზნეობითი ძალა გამოგვიჩენია წარსულში, რითი გვისახელებია თავი, ან რითი დაგვიმცირებია ჩვენი ღირსება; უნდა შევიტყოთ, თუ რა უანდერძებიათ ჩვენთვის ჩვენთაა წინაპართა და რა ღირსებისაა მათი ნაანდერძევი. ჩვენ უნდა შევისწავლოთ ყოველივე, რაიცა შეუქმნია ჩვენის ხალხის გენიას, რაშიაც ეს უკანასკნელი ნათლად იხატება, უყურადღებოდ არ უნდა დავაგდოთ ჩვენთა ძველთა სულიერი ნამოქმედარი, ნაშთი მათი გონებითი მოძრაობისა. მხოლოდ მაშინ შევქმნით ჩვენ მკვიდრს ნიადაგს ჩვენის ყოველ-მხრივის წარმატებისათვის.

როცა ჩვენ საკუთარს წარსულს შევიგნებთ, ჩვენს სულიერს ძალ-ღონეს გავზომავთ და სხვებსაც თვალს ავუხელთ ჩვენს წარსულზე, მაშინ შეუძლებელი შეიქმნება ზოგიერთთათვის ჩვენში თვითმყოფობისა და წარმატების ნიჭის უარყოფა.

იმ აზრის მისაღწევად, რომელიც ჩვენ ზემოდ გამოვთქვით, სხვათა შორის, აუცილებელ პირობად მიგვაჩნია ძველი ქართული მწერლობის ნაწარმოებთა გამოქვეყნება და შესწავლა. სხვათა შორის, უმთავრესს პირებად თვით-ცნობიერების აღსადგენად და გასაძლიერებლად უნდა ჩაითვალოს მწერლობა, რომელშიაც იხატება ხალხის გონებითი და ზნეობითი ძალა. ამიტომაც ჩვენ დიდის სიხარულით და სიამოვნებით უნდა მივეგებოთ ძველთა ნაწარმოებთა რიგიანს გამოცემას. უნდა ვისურვოთ, რომ ამ საქმეს დღეგრძელობა მინიჭებოდეს და ფრთა არ შეკვეცოდეს.

## შინაური ქრონიკა

ჩვენის გაზეთის **38**-ში იყო ნათქვამი, რომ კახეთში, გაღმა-მხარეში, ყივანახველა არის გავრცელებული. ეს ამბავი «კავკაზის» **41 №**-შიაც დაბეჭდეს, მაგრამ **ყივანახველის** მა-

## «დროების» ფელეტონი, 9 მარტი.

### ნუცა.

(სურათი ჩვენი ცხოვრებიდამ)

ენკენის-თვე იყო. ბინდისას ვანქის უბნის ერთ-ერთ ვიწრო ქუჩაში შეიარა ელისაბედმა. იმის შავ წამოსასხამის ქვეშ მოჩანდა თეთრი რიზაიის შალი, რომელიც ფეხქვეშ ებლანდებოდა და უშლიდა ჩქარ-ჩქარა სიარულს. ელისაბედს ეტყობოდა, ხშირი სტუმარი იყო აქეთ მხარეს, რადგან ხან ერთს და ხან მეორე ქუჩებს გამოეხმაურებოდა, მაგრამ აქამდის ვერ შეჩვეულიყო იმ შავ წუმპოს, რომელიც ქუჩის სიგრძივ ზოლივით მიმდინარეობდა. ელისაბედს ერთი ხელით კაბა აეწია და მეორე ხელით წამოსასხამი ცხვირ-პირთვის მიეფარებინა.

ელისაბედი მალე მიუახლოვდა ერთ პატარა ირიბად გაჩხირულს სახლს. იმის ალაყაფის კარებ წინ ბიჭები კოჭაობდენ. ელისაბედმა დაუყვირა ერთ ერთ ბიჭს: «დათო, ქალბატონი შინა ბძანდება?» მაგრამ პასუხს აღარც კი მოუცადა, რადგან, ვისიც ნახვა სურდა, დაინახა ზედ გზაზე გადმომდგარ ლურჯ ბალკონზედ და მაშინვე მარდად შეძვრა ეზოში.

დიდი სიხარულით დაუხვდა მარიამი ელისაბედს; ან როგორ არ გაიხარებდა, როდესაც თვალები ამოულამდა შვილის მოლოდინში მარტოდ-მარტო. ერთმანეთს მიესალმნენ, მერე მარიამმა უთხრა სტუმარს ყვედრებით:

— რა არი, მძახალო ელისაბედ! აგრე უნდა დავიწყება? ერთი კი აღარ გადმოიარე, სულ სხვები და სხვები, ჩვენთვის კი აღარ იცლი!

— რა ბძანებაა, შენ ნუ მომიკვდები თავ-გაწირული ვარ თქვენთვის. მაგრამ ხომ გაიგებდი, ჩვენი სოფიკო დავნიშნეთ და იმის აყალ-მაყალში ვიყავით. მათიკოც ხომ ვუჩვენეთ ბერიანთ ვაჟს, მოეწონა კიდეცა, მაგრამ ფულზედ ყოყმანობს, ეცოტავება.

ელისაბედმა ჩამოუთვალა ქალაქის ყველა ამბები, არც ერთი ქურდობა და არც ერთი კაცის-მკვლელობა იმას არ გამოჰპარებოდა. მარიამი კი ხმა-გაკმენდილი სიამოვნებით და მოწიწებით ყურს უგდებდა.

სანამ ესენი გართულნი არიან ლაპარაკში, თვალი გადავავლოთ მარიამის ორი ოთახის მორთულობას: სასტუმრო ოთახში ყაისნალით ნაქსოვი მშვენიერი სუფრა გადაფარებული იყო კოჭლ სტოლზე, ზედ იდგა ორი ძველებური მაღალი ვერცხლის შანდანი; ერთში სანთელი ხელ-უხლებლად იყო და მეორე კი სულ ამომწვარიყო. დაგლეჯილ კლიონკის დივანზედ გადაეშალათ ისეთი ვიწრო და მოკლე ჯეჯიმი, რომ აქეთ-იქიდამ ჭილოფებს ამოეყოთ თავი. გახუნებულ ფარჩის მუთაქაზედ ეყარა ვაშლის ნაფცქვენები. პირ-მოტეხილი სურა და ჟანგიანი ტაფა ბუხარში იდგა. ბუხრის თავზედ ეწყო საწერ-კალამი და თითონ ბუხარი მთლად შემურული იყო მელნით და კომლით. ოთახი მოდებული იყო წიგნებით და რვეულებით. მეორე ოთახსაც ასეთივე დაუდევნელობა ეტყობოდა. ქალების ტანისამოსით და წიგნებით მთელი ოთახი მოდებული იყო.

ელისაბედმა იცოდა ტკბილი და გაჭიანურებული ლაპარაკი. როდესაც ყველა ოჯახებზე იგანგაშეს, ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. მარიამმა ვეღარ მოითმინა და ჰკითხა:

— რა ჰქენი, ნახე? შემიტყე რამე?

— აბა, რაღა თქმა უნდა! შენი

გივრად დიფტერიტი დაასახელეს. ამ საგნის თაობაზედ გუშინდელს «კავკაზში» დაბეჭდილია ბ. თელავის მაზრის უფროსის წერილი, რომელშიაც იგი ამბობს, რომ არც ერთს კახეთის სოფელში დიფტერიტი არ არის გავრცელებულიო. ჩვენ ვწუხვართ, რომ გაზ. «კავკაზს» თელავის მაზრის უფროსისათვის ასეთი გადასხვაფერებული ამბავი მიუტანია, მაგრამ იმასაცა ვწუხვართ, რომ ბ. უფროსმა პირდაპირ «დროებაში» არ ჩაიხედა, თორემ მაშინ გამტყუნების წერილების გზავნა აღარ დასჭირდებოდა. ბ. მაზრის უფროსს კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ ყივანახველას რუსულად **КОКЛЮШЪ**-ი ჰქვიან და არა **ДИФТЕРИТЪ**-ი, და რომ კახეთში ყივანახველა ამ ზამთარს ძალიან გავრცელებული იყო, ამაზე შეგვიძლიან დავარწმუნოთ ბ. მაზრის უფროსი.

*** ამ დღეებში, თბილისის საქალაქო გამგეობამ სასტიკი ბძანება მისცა თავის მოხელეებს, რომელნიც ზედამხედველობენ თბილისის ვაჭრობას, რომ მათ აასრულონ ყოველივე კანონიერი განკარგულება შესახებ სისუფთავისა დუქნებში, მაღაზიებში, ტრაქტირებში და სხვა ადგილებში. მინც დღეის იქით უსუფთაოდ ივაჭრებს, ან ჭუჭყიანი ექნება დუქანი, მაშინვე ამ მოხელეებმა უნდა შეუყენონ მას პროტოკოლი და წარადგინონ სასამართლოში, რომელიც მას კანონიერად დასჯის.

გამგეობამ იმიტომ უფრო გასცა ასეთი სასტიკი ბძანება, რომ არავითარი შინაურული რჩევითა და დარიგებით არა გამოვიდარა—ვაჭრები მაინც ჭუჭყში ინახავდენ თავიანთ საქონელს, ტალახიანი დუქნები არ დაასუფთავეს, დაზგები, სტოლები, სასწორები მუდამ გასვრილი ჰქონდათ ქონითა და თითქმის ტალახით. მეტადრე გაჭირდა საქმე ამ ფეშტამლების შემოღებისა: სუფთა ფეშტამალს თითქმის ვერც ერთს ვაჭარზე ვერა ჰნახავთ. ეს ყასბები ხომ ისე ინახავენ ხორცსა და ისე ვაჭრობენ, რომ კაცს არ დაენახვება. ნეტავი იმას, ვისაც ჰყავს ბიჭი, რომელსაც ჰგზავნის ბაზარში, და თითონ არა ჰხედავს, თუ რანაირს ხორცსა, როგორ შენახულსა ყიდულობს და ან რა ჭუჭყიანი ყასაბი უწონავს!

ვაჭრობის პოლიციის მოხელეებმა ვერა გააწყესრა თავიანთი რჩევითა და დარიგებით, ანუ გაჯავრებით. რამდენი მათგანი გაუწბილებია რომელსამე ენაწყლიანს ყასაბს, როდესაც ამისთვის უთქვამს, მაგ., შემდეგი: «აბა, რას გიგავს ეგ ფეშტამალი? ჭუჭყისაგან ისე გაშავებულა, თითქო კუპრში ამოუვლიათო! არ შეიძლება აგრე, უნდა თეთრი და სუფთა იყოს ფეშტამალი, ე. ი., ფართუკი».

— აბა, კნიაზჯან, საქმე შენ გამოგლევია, სწორედ! რად მინდა სუფთა ფართუკი, გიმნაზისტკა ხომ არა ვარ, რო ლამაზი გამოვჩნდე,— ეუბნება ვაჭარი.

ერთხელ ერთი ნაცვლისთვის კიდევ ამავე საგანზე ეთქვა ერთს ყასაბს:

«— კნიაზჯან! მე როგორც ჩემი ვარაუდით ვხედავ, ცოტა ხანს უკან, სუფთა ფართუკს კი არა, ცილინდრებს დაგვხურავთ და ფრაკებში გამოგვჭიმავთ სამასხაროდ».

ამისთანა შეხედულობასთან მართლაც რომ შინაურულად ძნელია სისუფთავის შემოღება ჩვენს ჭუჭყიანს ვაჭრებში.

*** აგერ მეხუთე წელიწადია, რაც თურმე ხონში გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა არსებობს, მაგრამ როგორცა გვწერს ერთი წევრი ა, ამხანაგობისა, მესამე წელიწადია— აღარც საზოგადო კრება შემდგარა, აღარც ბ. კასირი ანგარიშებს უდგენს ამხანაგობასაო.

## ხმა სვანეთიდგან.

სვანეთში ამ ზამთარ ჩვეულებრივი დიდი თოვლი არ მოსულა; წინა წლების შედარებით მოსავალიც გვარიანი მოვიდა, არც რაიმე სნეულებას შეუწუხებია ხალხი, ასე რომ ამ მხრით სვანები ბუნების კმაყოფილნი არიან. მაგრამ, სვანების სამწუხაროდ, ამ გვარ ხალხის კმაყოფილმა მდგომარეობამ ბევრს ხანს არ გასტანა. წარსულის წლის დეკემბერში ერთის პირის განსაკუთრებითმა ზომებმა უკანონოდ მცხოვრებ ცოლ-ქმრის გაშორების შესახებ, ღვთის რისხვასავით იმოქმედეს ხალხზე. ვერც სიმშილი, ვერც უწყალო გადამდები სნეულება ამდენად ვერ დაარღვევდენ ხალხის მყუდროებას, რამდენადაც იგი დაირღვა ამ შეუსაბამო განკარგულებაით!

წარმოიდგინეთ, რომ სვანეთს შეადგენს 11 პატარა საზოგადოება. ამ 11 საზოგადოებაში ზემოხსენებულ განკარგულებით აშორებენ 150 უკანონოდ შეუღლებულ ცოლ-ქმართა. საზოგადოდ რომ ავიღოთ ამ 150 ქალების რიცხვიდგან 20-და თუ აღმოჩნდება, რომ შვილები არა ჰყავდეთ თავიანთ უკანონო ქმრებისაგან, დანარჩენნი 130 ქალი ყველა დაშვილიანებულნი არიან და ჰყავთ 1—8 შვილამდე. 150 ქალების რიცხვში უმეტესი ნაწილი თითქმის მოხუცებულობაში შესულა, რადგანაც მათ უცხოვრიათ ახლანდელ თავიანთ უკანონო ქმრებთან 5—30 წლამდე და მეტიც. ამ უბედურ ქალებს თავიანთი სიყმაწვილის დღენი და წელნი გაუტარებიათ ქმრის გარეშე, სხვა კაცთან, სადაც განუწყვეტელ შრომაში თავიანთი სიცოცხლე დაულევიათ,—იმისათვის კი არა, რომ მოხუცებულობის დროს 8 შვილის დედა განდევნილ ყოფილიყო და ძალით მიყვანილ მას განონიერ ქმართან, რომელმაც იგი გააგდო ან თვით ცოლმა მიატოვა ქმარი, სხვადასხვა მიზეზების გამო. ამ ქალებს დღეს ეუბნებიან: შენ შენს კანონიერ ქმარს უნდა დაუბრუნდეო; ქმარს მიუბრუნდებიან და ეტყვიან:— შენ უსათუოდ უნდა დაიბრუნო შენი კანონიერი ცოლი და პირობა დასდოთ, რომ ქვიშა-კირივით განუშორებელნი იყვნეთ ერთი მეორისაო. ქმარი ამბობს,—ეს 30 წელიწადი იქნება, რაც ეს ჩემი ცოლი სხვას გაჰყვა იმიტომ, რომ ერთმანეთს ვერ მოვეწყვეთ. ამას სხვისაგან შვილები ჰყავს, მე ჩემდა თავად სხვა ქალი შევითვისე, რომლისაგანაც მომეცა რამოდენიმე შვილი; ახლა რა ნაირად გავუშვა ჩემი შვილების დედა და მივიღო ჩემი ცოლი სხვასთან დაბერებული. ქალი თავისი მხრით ამტკიცებს რომ იგი ქმარს სიყმაწვილეში ვერ მოეწყო და ახლა სულ ვერ მოეწყობა, მაგრამ—შენც არ მომიკვდე—ვინ უგდებს ყურს მათ საფუძვლიანს ლაპარაკს! საკვირველია სწორედ ზოგიერთების საქციელი: ცოლ-ქმრის გაყრის შესახებ ორი მუხლია კანონში, რომელნიც შესაძლებელად ჰპოებენ გაყრას: 1) თუ ქმარი ცვედანია და 2) თუ ქმარს ანუ ცოლს დაუმტკიცდა გარეშე კაცთან მრუშობა. ყველა ის 150 ქალი, უკანონო ქმრებისაგან განშორებულნი, ექვემდებარებიან ზემოდ ნახსენებ მეორე კანონს. ამას გარდა, ან როგორ არ იციან ის კანონი, რომელიც ახლა სვანეთის მამასახლისებმაც კი იციან, რომ ძალად დაწერილს პირობას და განაჩენს კანონში ძალა არა აქვს. ეს ზემონაჩვენი კანონები ირღვევა განგებ, მხოლოდ იმისათვის, რომ ვითომ სურთ «სვანებისათვის კეთილი და მზად არიან მათთვის დასდვან თავი თვისი»! სამწუხაროდ, ფაქტები, სვანეთში მოღვაწეობიდგან ამოღებულნი, სულ წინააღმდეგს გვეუბნება. თუ ვერწმუნებით გონივრულს ანდაზას, რომაელებისაგან თქმულს და ჩვენშიაც დარჩენილს, რომ ხმა ერისა— ხმა ღვთისაო, უნდა ვაღვიაროთ, რომ ამ გვარი ზრუნვა არავის ეტყობა მაგალითად, ყარაულების (სტრაჟნიკების) კამანდის რიცხვი, რომელიც მთავრობამ და...

---

ქალი იმას უნახავს კიდეც და ძალიანაც მოსწონებია, მაგრამ...

— მერე რაო, მძახალო! თქვი რაღა!

— ისაო, რომ მე ის ცოლად არ გამომადგებაო, თავს სწავლულად სდებს და არც მომწონსო, როდესაც ქალი წიგნებს ამოიღლიავებს და კარ-და-კარ დადისო.

— მაშ, იმედი არ არის?

— რას ამბობ, მე ხომ გითხარ, რასაც მოვინდომებ—ავასრულებ. შენ ქალი დაიყოლიე და სხვა ჩემ კისერზედ იყოს.

— შეთაყვა, დამავალე, ხომ იცი რომ სიკეთეს არ შევირჩენ.

— კარგი, კარგი. შენ მითხარ, ქალი რაღას ამბობს?

— რა ვქნა, მლისაბედჯან, რომ ამისთანა გაუბედავი და საწყალი ხასიათისა ვარ. ნუცასთვის მაგ კაცზედ ჯერ არაფერი არ მითქვამ, ვშიშობ, უარი არ მითხრას და ყოველ დღე კი იმას ჩავჩიჩინებ: «შვილო, ბინა მოძებნე, ეგ უჩიტლობა—კარ-და-კარ სიარული საბოლოვო არ არის მეთქი შენთვის; ავად გახდები და მერე ველარას გიშველი მეთქი».

— მერე?

— მერე და იცინის, ხუმრობაში ატარებს, საქმროს მალე ვიშოვიო, ნაშოვნი კიდეცა მყავსო.

— აი, მეც მაგას ვამბობ, მარიამჯან! ამბობენ, რომ შენს ნუცას და ესტატიანთ შვილს, ნიკოს, ცოლ-ქმრობის პირობა მიუციათ ერთმანეთისათვის. აბა, სირცხვილი არ იქნება, დავიწყო ლაპარაკი იმისთანა პატიოსან, დარბაისელ კაცთან, როგორიც არის ზაქარია ბაიყაძე და მერე კი, როდესაც დავათანხმო, საქმე საქმეზე მოვიდეს—პირ-შავად დავრჩე.

— მაშ, რავქნა, მძახალო! ხომ იცი, რომ ესტატიანი ღვთის-რისხვა ამპარტავნები არიან, თავიანთ შვილს ჯვარის წერის ნებას არ მისცემენ, სანამ ცოცხალნი არიან. ეგ ზაქარიაც ხელიდამ წამივა და დავრჩები.

— აბა, რა გითხრა! სული და ხორცი მოგიშვია და ზიხარ. მხნედ უნდა იყო, მარიამ, მხნედ. ცხონებული შენი ქმარი, დიმიტრი, რომ ცოცხალი ყოფილიყო შვილს ადვილად დაიყოლიებდა!

მარიამმა პასუხის მაგივრად მძიმედ ამოიოხრა. იმას მოაგონდა თავის ქორწილის ღამე, როგორც ყოჩაღი და კოჭლი დიმიტრი მილიციონერის ტანისამოსით საყდარში გვერდით ამოუყენეს. თვალ-წინ წარმოუდგა მდიდრულად შემკული კახეთი. ამას ჯერ არ ჰქონდა დავიწყებული თავისი მიყრუებული სოფელი, სადაც მოუთმენლად გაეშურებოდა ხოლმე ზაფხულობით.

მარიამი კარგა გაკეთებული აზნაურის ქალი იყო და საჩენ აზნაურსაც მიათხოვეს. ქალი დიდად გულ-ჩვილი, ყველას შემბრალებელი, მაგრამ უთაური და დაუდევნელი დედა-კაცი იყო; მხოლოდ თავის მორთულობაზე ფიქრობდა და სახლი ღვთის ანაბარაზე მიეგდო. მზითევში ისეთი დიდი ზვარი მისცეს, რომ სხვა იმის ალაგას, ყაირათიანი მეოჯახე დედა-კაცი, ხელმწიფურად იცხოვრებდა. დიმიტრისაც ჰქონდა საკმაოდ მამული და, გარდა მაგისა, დაჭრილობის გამო პენსიაც ათ თუმნამდის ეძლეოდა. თითონ კაცი იყო გულადი, პურადი, ლხინის მოყვარე და მეგობრებისთვის თავ-გაწირული; არც ერთი ქორწილი, არც ერთი ნიშნობა უ-დიმიტროდ არ მოხდებოდა. სანამ ნუცა შვიდი წლისა შესრულდებოდა, ესენი ფეხ-მოუცვლელად სოფელში ცხოვრობდენ, მერე, კი რადგან შვილები არა რჩებოდათ და მარიამიც ხშირად ავად-მყოფობდა, დიმიტრიმ ჩააბარა ყველა თავისი მამული ერთ შორეულ ნათესავს და გამოსწია საბინადროდ ქალაქში. ნუცა მიაბარეს ინსტიტუტში, მაგრამ ყმაწვილმა ორ წელიწადზე მეტი ვერ დაჰყო იქა, იმათი საჭმელი ვერ აიტანა, ავად გახდა და დედ-მამამ გამოიყვანა. მასუკან თერთმეტ-თორმეტ წლის ბავშვს ხან ერთ მეზობელს მიაბარებდენ და ხან მეორეს. მარიამ კარგად მოეწყო თბი-

უნა 1881 წლს სვანეთის მოხელეების ხელქვეით, ბევრით ნაკლებია ნამდვილს რიცხვზე, თუმცა ჟამაგირები სრული რიცხვისა იღება. ამას გარდა თავისუფალ სვანეთის საზოგადოებათაგან მოიკრიფა 1882 წლის ბეგარა, მაგრამ ხაზინაში ჟერაც არ წარდგენილა და არც ხალხს დაჰბრუნებია უკან. ხალხმა ვერ გაიგო ვერც ის განკარგულება, რომლის ძალითაც ჩვეულებრივ გადასახადს კომლზედ მიემატა ექვსი შაური...

ხალხი თავის თვალით ხედავს, რომ ზოგიერთს, რომელიც ვითომც ასე თავდადებით იბრძვის სვანეთში ზნეობის აღსადგენად, თითონვე გადაულია სვანების მისგანვე დევნული ჩვეულება შესახებ ცოლ-ქმრობის კავშირისა. ზემოდ ნათქვამი აშკარად ამტკიცებს, რომ უფრო პირადობის სარგებლობის მაძიებელნი არიან, ვიდრე ხალხის კეთილდღეობისა.

დასასრულ არ შეიძლება არ ვურჩიოთ შემდეგი: ყველას სვანეთში ჭმართებს წინ დახედულება და კეთილ-გონიერება, რომელთ უქონელობამ 1875—1876 წლებში გამოიწვია სვანეთში აღელვება—პირველ წელს მთელი თავისუფალი სვანეთისა და მეორეში ერთი სოფლისა. თუ რამდენად საზარალო იყო ეს აღელვება ერთის მხრით მთავრობისათვის და მეორეს მხრით ხალხისათვის, ეს ყველამ ვიცით. ვათავებთ ჩვენს წერილს იმ იმედით, რომ ყურადღებას მიაქცევენ ამ გვარ სვანების მდგომარეობას და გამოიხსნიან ხალხს სასოწარკვეთილებისაგან, რომლის გამოაშკარებაც ჩვენ ჩვენს სამღთო მოვალეობად ჩავრაცხეთ.

სვანების მოკეთე.

სვანეთი.

## უცხოეთი

— ამ დღეებში ხართუმში მოსულა ერთი მაიორი და ორი უნდერ-ოფიცერი ელ-ობეიდის გარნიზონისა. ესენი მგზავრობას სრული ერთი თვე მოსდომნიან. იმათ უამბნიათ, რომ ელ-ობეიდი, სადაც მახდი იმყოფება, საცოდავს მდგომარეობაშიაო. მახდის მოწინააღმდეგენი გაუჩნდენ და ეხლა ისე ძლიერ ეშინიან მოკვლისა, რომ შიშისაგან მუდამა ძრწისო. რამდენადაც ქალაქის მცხოვრებლებისა ეშინიან, იმდენადაც თავის მონათესავე ხალხისა — არაბებისაცაო. ცრუ-წინასწარმეტყველი თავის უფლების და გავლენის დასაცველად დიდ-ხანს ხმარობდა სიკვდილით დასჯასაო. ჯერ კიდევ ისეთი არეულობა არის, რომ მმართველობის მგზავსი არაფერი არ არსებობს იმის სამფლობელოშიო. ამ დღეებში მახდიმ მეტად გააოცა მცხოვრებლები თავის საქციელითაო. საქმე ის არის, რომ მრისხანე წინასწარმეტყველმა, რომელიც აქამდინ თავის თავს უწოდებდა ზეცით მოვლენილათ ურჯულო ეგვიპტის მმართებლობის დასამორჩილებლად, უბძანა თავის მხლებლელებს, რათა შეეკრიბათ, რაც მთელ ქალაქში იარაღებია და ერთ ადგილას შეეგროვებინათ; ამასთანავე გამოაცხადა, რომ ეს იარაღები სულ ერთიანად ხედივის საკუთრებაა და იმას, აჰმედ-მაჰომედს (მახდის), ჰსურს ჩააბაროს ისინი ეგვიპტის წარმომადგენელსაო.

ამას გარდა, ერთს ობეიდიდამვე ხართუმში მოსულს სალდათს ულაპარაკნია, რომ მახდიმ დიდის ალტაცებით მიიღო გორდონის ბარათი, რომლითაც ეს უკანასკნელი ნიშნავდა მას კორდოფანის სულთანადაო. მახდიმ ბარათის მომტანს ჩააცვა საპატიო ხალათი და ისე გასტუმრა უკანაო. გორდონს წერილიც მისწერა ბარათის პასუხად, მაგრამ წერილის შინაარსი ჯერ არავინ იცისო. გორდონის მოქმედებას ძლიერ ადევნებენ თვალ-ყურს ყველა არაბთა თემნიო და ყოველს იმის ფეხის გადადგმასა სჯიანო.

— ადმირალი ჰიუეტი და გენერალი გრაჰამი მარტო ომს არა სჯერდებიან აჯანყებულის არაბების დასამშვიდებლად, — ისინი ცდილობენ თურმე რჩევით და დარიგებით იმოქმედონ მათზე. ამ დღეებში გაუგზავნიათ სუაკიმიდგან აჯანყებულების წინამძღოლისათვის პროკლამაცია, რომელშიაც სხვათა შორის შემდეგია ნათქვამი: «თქვენ უკვე გქონდათ გამოცხადებული, რომ ინგლისის ჯარები მოვიდენ სუდანში მარტო თოქარის გარნიზონის გასათავისუფლებლად კი არა, არამედ იმ ბოროტების აღმოსაფხვრელადაც, რომლისაგანაც თქვენ ბევრი ტანჯვა მიგიღიათ; მაგრამ თქვენ მაინც უკეთური ოსმან-დიჰმის მხარე დაიჭირეთ; თქვენ კარგად იცით იმის წარსული ცხოვრება, კარგად იცით, რა კაციც არის ისა. იმან შეგაცდინათ თქვენ, ვითომც მოვლენილიყოს ქვეყნად მახდი. დიდებული ღმერთი, გამგე სრულიად სამყაროსი, არა გზავნის მახარობლებად იმისთანა საძაგელს და ბილწ გვამებს, როგორიც არის თქვენი ეხლანდელი წინამძღომელი. თქვენ გულადი ხალხი ხართ და ინგლისი ყოველთვის პატივსასცემდა თქვენს ქველობას. დაწყნარდით და გააძევეთ თქვენის ქვეყნიდგან ოსმან-დიჰმა. ჩვენ გაუწყებთ, რომ ყველას ეპატიება დანაშაული, ვინც მოვა ჩვენს ბანაკში და მორჩილებას გამოგვიცხადებს. მაგრამ, თუ გაჯიუტდებით და თქვენსას არ დაიშლით, მაშინ თვითეულს თქვენგანს ის დღე მოელის, რა დღეც ელ-ტებესთან დაადგათ თქვენს თანამოძმეთ».

თუმცა საზიზღარი და გასაოცარია, როდესაც ევროპიელი მთავარ-სარდალი ამისთანა ლანძღვა-გინებით მიმართავს თავის მებრძოლ მოწინააღმდეგეს, მაგრამ, როგორც გაზეთები იწერებიან, ცოტად თუ ბევრად უმოქმედნია ამ პროკლამაციას არაბებზედ; ერთს თემს, სახელად ამარაბს, თავი დაუნებებია ოსმან-დიჰმისთვის და ალარ იბრძვის ინგლისელების წინააღმდეგ; ერთი ვიღაც შეიხი მახმუდ-ალიც, რომელიც თუმცა აქამდინ ინგლისელებს თავს მეგობრად უჩვენებდა და მონაწილეობას არ იღებდა ომში, მაგრამ საეჭვოდ კი მიაჩნდათ ინგლისლებს მისი მეგობრობა,—ეხლა, რაკი დაუნახავს, რომ ინგლისლები იმარჯვებენ, დიდ-ძალის რაზმით მისულა სუაკიმში და ინგლისლების მხარე დაუჭერია.

— ჩვენი გაზეთის წარსულ №№-ში გვქონდა მოყვანილი ცნობები შესახებ ზებერ-ფაშისა და, სხვათა შორის, ისაც, რომ ეს ზებერ-ფაშა, რომელიც ეხლა ეგვიპტის სამსახურში იმყოფება, განთქმულია სუდანსა და ეგვიპტეში, როგორც ძლიერი მოთავე მონების ვაჭრებისა სამხრეთ-დასავლეთ სუდანში. ამ ზებერ-ფაშაზე აი კიდევ რას იწერებიან გაზეთებში ხართუმიდამ: «აქაური მცხოვრებლების უმეტესი ნაწილი იმ აზრისაა, რომ ზებერ-ფაშა ერთად-ერთი კაცია, რომელმაც კარგად იცის სუდანი და რომელსაც შეუძლიან იმ გამგეობის თავობა, რომლის დაწესებასაც აპირობენ. ზებერ-ფაშის ნიჭი და სიმტკიცე ხასიათისა ყველამ კარგად უწყის. იმაზედ თითქმის ეჭვი არავისა აქვს, რომ მარტო გორდონს ვერა-გზით ვერ შეუძლიან მოსპოს აჯანყება, რომელიც მთელს სუდანს ედება. ზებერ-ფაშა რომ სუდანში იყოს, მაშინათვე გაცალკევებული აჯანყებულებთა ბრბონი მასთან შეიკრიბებოდენ და მის ნებას დაემორჩილებოდენ. ზებერ-ფაშაზე უკეთესს ვერავის იშოვნიან, რომ გასწიოს ეგვიპტის მმართებლობის მაგიერობა, რადგანაც იმისთანა კარგად ვერავინ იცნობს სუდანის მცხოვრებლებს».

ამ დღეებში ეგვიპტის მმართებლობას მიუღია გორდონისაგან წერილი, რომელშიაც მმართებლობას

---

ლისში, ის მორთულ-მოკაზმული დაიარებოდა ქალაქის ქუჩებში, ვიზიტს უკეთებდა მეზობლებს და ახლად-ნაშოვნ ნაცნობებს. დიმიტრიმაც უფრო დაიწყო ქალაქში დარდიმანდობა, ხან ორთაჭალის, ხან ვერის ბაღებში შეექცეოდა, თუნგს თუნგზე სცლიდა, ბოლოს, სიბერეში შესულმა, ველარ შესძლო ამდენი ღვინის სმა და ერთხელ, ქეიფობის შემდეგ, სიცივემ დაჰკრა, ანთება მოუვიდა და თან გადიტანა.

მარიამისთვის ისე მოულოდნელი იყო ეს უბედურება, რომ თავდაპირველად დასწყევლა ქალაქი და უნდოდა თავის ბინაზე დაბრუნება. მაგრამ ნუცამ, რომელსაც სწავლის სურვილი აშლიდა, დაუწყო დედას ხვეწნა-ტირილი,—ქალაქში დავრჩეთო. მარიამს მაგის მეტი ქვეყანაზედ ეხლა ვილა გააჩნდა და როგორ არ აუსრულებდა თხოვნას. სწავლის მოწადინე ნუცა თავს აქეთ-იქით აწყვეტდა, სანამ ერთმა ქალმა ხელთ არ უმძღვანელა და სწავლის გზა არ უჩვენა. გიმნაზიაში დაბინავდა თუ არა ნუცა—ცოტა არ იყოს, დამშვიდდა.

წავიდა რამდენიმე წელიწადი და, აი, რასა სწერდა ახლად კურს-დასრულებული ნუცა თავის მასწავლებელს და დამრიგებელს:

«ჩემო მასწავლებელო და ძვირფასო მეგობარო ელენე! გატყობინებ, ვიცი გაგეხარდება, გუშინ მივიღე ატესტატი და დღეის-იქით უნდა მასწავლებელი გავხდე. ვიმედოვნებ, ჩემი წმინდა მოვალეობა ნამდვილად ავასრულო და ყველას ხელი გავუმართო, ვისთვისაც საჭირო ვიქნები. უშენოდ, კარგა იცი, მე გზას ვერ გავიგნებდი. ვიწყობ შრომას, დამილოცე გზა».

***

ელისაბედი ის იყო აპირობდა წასვლას, როდესაც დალალულ-დაქანცულმა და ამასთანავე პირ-მომღიმარმა ნუცამ კარი შემოაღო, მაგრამ ნახა თუ არა ელისაბედი თავის ნიკოს მაგივრად, რომელიც ჩვეულებისამებრ დაუხვდებოდა ხოლმე, როგორლაც შეკრთა. მოაგონდა დედის მუდმივი წუწუნი ქმრის შოვნაზე და თითქოს მხოლოდ ეხლა მიხვდა, რომ მტერი თვალ-წინ უდგა. ელისაბედმაც თავის მხრით დაატყო, რომ მეტია და საჩქაროდ გასწია შინ.

დედამ ნაღვლიანად გადახედა თავის ნუცას, რომელიც გაფითრებული და თვალებ-დახუჭული გადაესვენა დივანზედ. ამის დანახვაზე მარიამმა ველარ მოითმინა და უთხრა ქალს:

— შვილო! რაზე იჭირვებ საქმეს, ღირს ორი-სამი თუმნისთვის აგრე გაჭირვება? ეს ორი წელიწადია, რომ თავი გადაგიდვია, დახე, რა გაყვითლებულხარ!

— მაშ რითი ვიცხოვროთ, დედაჯან, უროკებს რომ თავი დავანებო? მამულებიც ხომ ლამის ხელიდამ გამოგვეცალოს!

— ლამაზი ხარ, გათხოვდი, აი, თურმე ზაქარია ბაიყაძესაც მოსწონხარ. შენი შერთვა უნდა, ხომ იცი, რა მდიდარია?

— რაში მეკითხება, — მდიდარი იყოს, მე ის სულაც არ მომწონს. დედაჯან, თავი დამანებე, გათხოვებაზე ნულარას მეტყვი. დამაცა, მინდა დავისვენო.

— კარგი, კარგი, შვილო, ალარას გეტყვი,—სთქვა ამოხვრით დედამ და ოთახიდამ გავიდა.

ნუცამ დიდ-ხანს დაჰყო უძრავად დივანზედ გადაწოლილმა. იმას თავისი ნიკო თვალ-წინ წარმოუდგა, რომელიც ამას ხელებს უკოცნიდა და სულ თავის სიყვარულზე ელაპარაკებოდა, ესეც აპირობდა ქორწინებაზე ლაპარაკს, მაგრამ ამ დროს წინ ვიღაც აეფარა და თითქოს ცდილობდა ამათ განშორებას. ნუცამ ხელი გაიქნია, უნდა მოეცილებინა, უცბად თვალები აახილა და ნახა, რომ წინ თავიანთი ბიჭი დათა იდგა და რაღაც ბარათს აჩეჩებდა: «ესტატიანთ ნიკომ გამოგზავნაო».

(დასასრული ხვალ)

სთხოვს—ზებერ-ფაშა გამომგზავნეთ თანაშემწეთაო. როგორც სჩანს, გორდონზე უმოქმედნია ზემო-მოყვანილს საზოგადო აზრს. მაგრამ ზებერ-ფაშა არა თანხმდება თურმე და ეუბნება ხედივის მმართებლობას, რომ მე სუდანის გენერალ-გუბერნატორის მორჩილად ყოფნა არ შემიძლიანო და, თუ გინდათ, თვითონ იმ თანამდებობაზე გორდონის მაგივრად გამგზავნეთო.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

7 მარტს.

კანეია. სერაკსიის მცხოვრებლებმა გუშინ განსდევნეს ოსმალოს მთავრობა. კრიტზე მაინც მშვიდობიანობაა.

კაირი. ბერბერის სამხრეთით გზები სულ აჯანყებულებმა დაიჭირეს, რომელნიც ნილოსის ნაპირებზედ იკრიფებიან; ერთს გადასასვლელ ადგილს კიდეც დაეპატრონენ და შენდიზედ თავ დასხმას აპირობენ.

პარიჟი. გუშინ კომუნის წლისთავის დღეობის გამო პარიჟის ზოგიერთა უბნებში სადილები გაიმართა, სადაც ცხარე სიტყვები წარმოითქვა, მაგრამ ქალაქში უწესოება არა მომხდარა-რა.

ტონკინიდამ იწერება გენერალი მელიო, რომ აღარ გამოუდგა იგი ბაკნინგიდამ გაქცეულ ჩინელებს, რადგან მათი გამოდგომა უსარგებლოდ იცნო.

პეტერბურგი. სახელმწიფო ბანკი აცხადებს, რომ 200,000 მან. მოგების მიუცემლობის თაობაზედ ხმები უსაფუძვლოაო. პატრონს იმ ბილეთისას; რომელმაც 1-ლს ივლისს 1883 წ. 200,000 მან. მოიგო, მიეცა კიდეც ეს ფული; ხოლო 1 მარტის 1884 წლის ტირაჟზედ გამოსული ბილეთი, 200,000 მანათის მომგები, ჯერედ არ წარმოუდგენიათ.

გუშინ მოვიდა პეტერბურგში ნემეცების რომანისტი შპილჰაგენი.

მოსკოვი. გუშინ დასჭრეს გვამი ვაჭრის სუბკინისა, რომელიც მოსკოვის მდინარის ყინულზედ იპოვნეს. სუბკინი ამ ბოლოს დროს თურმე შეშლილი იყო და თავი მოიწამლა. სუბკინს 7 მილიონი დარჩენია.

სტოკჰოლმი. შვეციის მემკვიდრე პრინცი ნორვეგიაში მეფის მოადგილედ დაინიშნა.

სუაკიმი. ჯაშუშები ამბობენ, რომ ოსმან-დიგმას ჯარი მეტად სულით დაცემულია, ასე რომ ძნელად თუ გაჰბედავს ბრძოლის განახლებასაო.

## «დროების» ფოსტა.

წერილების ავტორებს. ერთხელ და სამუდამოდ გამოგვიცხადებია ყველა იმ პირთათვის, რომელნიც ირჯებიან და წერილებსა გვწერენ, რომ თუ თავიანთ სახელს, გვარს და ვინაობას არ მოგვწერენ, მათი ნაწერების დაბეჭდვა ყოვლად შეუძლებელია. რასაკვირველია, თუ თვითონ არ ისურვებენ, მათს სახელსა და გვარს რედაქციის მეტი ვერავინ ვერ შეიტყობს.

## განცხადებანი

—

სომხური სასულიერო სემინარიის ნერსესიანთა მზრუნველობის რჩევაში 28 ამ მარტისას, საღამოს რვა საათზე, მოხდება ვაჭრობა (განუმეორებლად) იჯარით გაცემაზე შემდეგთა სემინარიის კუთვნილ მამულთა: ა) სახლისა და დუქნებისა, რომელნიც ავეთიკა ფიროევისაგან არიან შემოწირულნი და იმყოფებიან რუსების ბაზარში №№ 6 და 11, და ბ) დუქანი, რომელიც აშენებულია სასწავლებლის მოედანზე, ვანქის სომხის სობოროსთან. პირობების სინჯვა შეიძლება მზრუნველობის კანცელიარიაში ყოველ დღე, გარდა კვირა და სატაბელო დღეებისა, 10 საათიდგან 12 საათამდინ. (3—1)

## ქალაქის გამგეობა

იწვევს, ვისაც სურს საქალაქო სახლის კედლების შეღებვა აიღოს. მობძანდეს გამგეობაში ფასზე მოსალაპარაკებლად 13 მარტს დილის 12 საათიდგან. (3—1)

ბ. ხმელევსკი, რომელსაც ვარშავის კონსერვატორიის სრული კურსი აქვს შესრულებული და არის მოწაფე მაშოშკოსი, აძლევს მუსიკის გაკვეთილებს ფორტოპიანოზე, ფისჰარმონიაზე, და აგრეთვე ასწავლის მუსიკის და გარმონიის თეორიას (გენერალბასსი), სცხოვრობს ფრანგების ეკლესიის სახლში, კუკიაში. (6—2)

## „გლახის ნაამბობი"

მოთხრობა ილია ჭავჭავაძისა

ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ფასი 25 კაპ. (3—3)

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— „ |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— „ | — — 3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდის საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ ისდის. (100—92)

სომხური სასულიერო სემინარიის ნერსესიანთა მზრუნველობის რჩევაში 21-ს რიცხვს ამა მარტისას, საღამოს 8 საათზე, მოხდება ვაჭრობა (განუმეორებლად) იჯარით გაცემაზე ერთის დუქნისა ოთახითურთ, რომელიც იმყოფება თელეთში სომხის ეკლესიასთან. პირობების ნახვა შეიძლება მზრუნველობის კანცელიარიაში ყოველ-დღე, გარდა კვირა და სატაბელო დღესასწაულებისა, დილის 10 საათიდამ 12 საათამდინ. (3—3)

საგლობუსო  კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი სააგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ყოველის „ხელისათვის"—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმენდად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალხის ატაკისათვის კლიონკები. ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ზინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომაჩი, ქამრები, სარტყლები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შპრიცებისათვის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქმიო ქაღალდი კატერ-გლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშკი—20 კ. (100—57)

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 მარტიდამ 1 აპრილამდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— | —1 | გირ. | 5 კ. |
| აჭაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | 3 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 2½ |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 5 კ. |
| მეორისა — | —1 | გ. | 3½ |
| მესამისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| ჭვავის-მამის პური: | | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 4 კ. |
| მესამისა — | —1 | გ. | 3½ |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 9 კ. |
| მეორის — | —1 | გ. | 8 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 10 კ. |
| ღორის ღორცი: | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | — კ. |
| მეორის — | —1 | გ. | — კ. |

### რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით.
თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილისა.
(სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკ.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილისა.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილისა.
ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.
მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილისა.
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. დილისა.
(პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

Дозв. ценз. Тифлисъ, 8 Марта 1884 г. (ექ. ხელაძის სტამბა) Типографія Е. Хеладзе). გამომცემელი ზ. ჭართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.